საქართველოს მთავრობის

დადგენილება №100

2026 წლის 6 მარტი

ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელთა სამსახურებრივი ფორმის სახისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელთა სამსახურებრივი ფორმა და ატრიბუტიკა, თანდართული დანართების შესაბამისად.

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომელთა სამსახურებრივი ფორმის სახისა და ატრიბუტიკის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 იანვრის №107 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**